

ანგარიში

(სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ)

წარმოგიდენტ, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლის 2024 წლის 9 დეკემბრიდან 2025 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს.

სკოლა 2025 წლისთვის საქმიანობას ახორციელებდა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
2. პროფესიული განათლების დანერგვა/განვითარება;
3. ადამიანური რესურსის განვითარება;
4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
5. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
6. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
7. ორგანიზაციული განვითარება.
8. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;

აღნიშნული მიმართულებების მიხედვით სკოლას შედგენილი ჰქონდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, საიდანაც შეასრულა მნიშვნელოვანი ნაწილი.

1. **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების კუთხით** სკოლაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ პირველად დავიწყეთ ახალი კურიკულუმების დანერგვა, რომელიც არაერთ გამოწვევასთან იყო დაკავშირებული. სისტემატურად მიმდინარეობდა დანერგვის მონიტორინგი როგორც დირექციის, ასევე ხარისხისა და ვერიფიკაციის ჯგუფის წევრების მიერ. პერიოდულად ხდებოდა კათედრებზე განხილვები. სასწავლო წლის ბოლოს გაკეთდა ყველა საგნის კურიკულუმის რევიზია, შევიდა გარკვეული ცვლილებები და კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცდა ახალი სასკოლო გეგმა.

2025 წლის ბოლოს სკოლაში ირიცხება 20 სსსმ მოსწავლე. მათთან მუშაობა მიმდინარეობდა სკოლაში შემუშავებული ინკლუზიური განათლების მექანიზმის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია 3 სპეციალური მასწავლებელი, 1 ენისა და მეტყველების სპეციალისტი, 1 მოსწავლის ასისტენტი. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ადგენს დასკვნას და იძლევა რეკომენდაციებს.

სასკოლო გეგმით მოსწავლეებს საბაზო საფეხურზე ვითავაზობთ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას რუსული ენის სახით. საბაზო საფეხურიდან ინგლისურსა და გერმანულ ენებში კლასები იყოფა ენის ცოდნის დონის მიხედვით. საშუალო საფეხურზე შეთავაზებული გვაქვს არჩევით საგნებში რუსული ენა, მედიაწიგნიერება, ფოლკლორი და მითოლოგია, XIX-XX საუკუნეების დასავლური ლიტ-ა. მეორე უცხოური ენი - გერმანული ენის - შესწავლა იწყება მე-3 კლასიდან. ყველა კლასში დამატებული გვაქვს წიგნიერების გაკვეთილები, ხოლო საბაზო საფეხურზე ინგლისურ ენაზე ენის ცოდნის მაღალი დონის ჯგუფები გადიან კემბრიჯის გამოცდების მოსამზადებელ მასალას. X-XII კლასებში განსაკუთრებულად წარმატებით ხორციელდება

პროექტული სწავლობა მუსიკის, ხელოვნებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით, რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე. სემესტრების ბოლოს ტარდება პროექტების პრეზენტაციები.

ყველა კლასის დამრიგებელს შემუშავებული აქვს დასამრიგებლო პროგრამები, რომელიც მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებს, მიმართულია სკოლაში არსებული პრობლემების მოგვარებაზე და ხელს უწყებს მოსწავლეებში კრიტიკული აზორვნების განვითარებას. სასწავლო წლის ბოლოს ყველა მასწავლებელი ახდენს გაწეული სამუშაოს რეფლექსიას.

სასწავლო ხარისხის ამაღლების კუთხით სკოლაში შექმნილია შიდა ხარისხის ჯგუფი, რომლის მოვალეობაა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, გამოცდილების გაზიარება, სწავლა-სწავლების პროცესში რეკომენდაციების გაცემა, მასწავლებლებისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდება.

სკოლაში ხორციელდება სასწავლო და საგრანტო პროექტები, არსებობს რამდენიმე არაფორმალური განათლების კლუბი, რომელთა პროგრამა სასკოლო გეგმის ნაწილს წარმოადგენს. 2025 წელს ორი მნიშვნელოვანი საგრანტო პროექტი განხორციელდა, რომელიც დაფინანსდა სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ: სტემ სასკოლო ჰაბი - 31 000 ლარით, კრიტიკული აზორვნების ჰაბი - 35 000 ლარით. სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს დაფინანსებით (15000 ლარი) 2025 წლის ზაფხულში სკოლაში ცატარდა ერთთვიანი STEM საზაფხულო ბანაკი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები. ბანაკში მონაწილეობდა 100 მოსწავლე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. აღსანიშნავია, რომ პროექტებში ჩართული არიან საჩხერის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები. აღნიშნული აქტივობები პირდაპირ აქტივობებში ჩვენი სკოლის ხედვასთან, რომლის მიხედვით სკოლა უნდა გახდეს STEM და ევროპული ენების ჰაბი.

სკოლაში მოქმედებს ეკო-კლუბი, ჟურნალისტიკის, STEM კლუბები, ასევე 2025 წელს აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით სკოლაში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ცენტრი. ცენტრში გაწევრიანებული არიან VII-XI კლასების მოსწავლეები. მათ უტარდებათ ტრენინგები, შეხვედრები, ვორკშოპები სამოქალაქო განათლების საკითხებზე, პროფორიენტაციაზე, ინტერპერსონალური უნარების განვითარებაზე და სხვა. მოსწავლეები ცენტრში ამუშავენ ისეთ პროექტებს, რომლებიც სკოლასა და საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული.

წელს მთავარი გამოწვევა იყო შეფასების სისტემი დანერგვა და შესაბამისად, მისი ვერიფიკაცია. შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის დადგენის მიზნით, შეიქმნა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებული არიან მასწავლებლები ყველა კათედრიდან. ჯგუფის მოვალეობაა, ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მონიტორინგის განხორციელება. ვერიფიკატორები მუშაობენ 3 მიმართულებით: პროცესის, ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმების. მათ აქვთ სამუშაო გეგმა, მონიტორინგის ფორმები, რომელთა საფუძველზეც ადგენენ დასკვნებს და წარუდგენენ სკოლის დირექციასა და კათედრებს შემდგომი რეაგირების მიზნით.

დაწყებით საფუხურზე (I-IV კლასებში) ყოველი სემესტრი ბოლოს ტარდება სადიაგნოსტიკო შეფასებები ქართულსა და მათემატიკაში. ხოლო მე-7 კლასებში გერმანულსა და ინგლისურ ენებში კლასები ენის დონის ცოდნის მიხედვით დიფერენცირების მიზნით. სადიაგნოსტიკო შეფასებების ანალიზს მასწავლებლები ანზოგადებენ კათედრებზე და მომდევნო სემესტრი განმავლობაში მუშაობენ ხარვეზების აღმოფხვრაზე, ასევე დამატებით მეცადინეობებს გეგმავენ დაბალი შედეგების მქონე მოსწავლეებთან.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული გვქონდა სკოლის ბაზაზე STEM კონფერენციებისა და სხვადასხვა ოლიმპიადების და შეჯიბრებების მოწყობა. სტემ შემაჯამებელი კონფერენცია ჩატარდა ზაფხულში ძალიან წარმატებით, რომელსაც ესწრებოდნენ განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები, სისტემატურად ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებები. თუმცა ვერ მოხერხდა სკოლის ბაზაზე სხვადასხვა საგნებში თემატური კონფერენციების მოწყობა, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებთ მომდევნო სასწავლო წლის გეგმაში.

2. როგორც მოგეხსენებათ, გასულ წლებში სკოლის საბაზო-საშუალო საფეხურებზე აქტიურად ინერგებოდა **პროფესიული განათლება**, მოსწავლეებს ვთავაზობდით პროფესიული უნარების განვითარების კურსებს 7 მიმართულებით: კულინარია, კონდიტერია, სამკერვალო საქმე, ექთნის საქმე,

დურგლის საქმე, ტექნოლოგიები, ელექტრობა. აღნიშნულ პროგრამებს სკოლის მასწავლებლებთან ერთად უძღვებოდნენ პარტნიორი პროფესიული კოლეჯების მასწავლებლები. დაფინანსების არ არსებობის გამო, აღნიშნული პროექტი დროებით შეჩერდა. თუმცა, სკოლამ პროფესიული განათლების მიმართულებით ძალიან წარმატებული ნაბიჯი გადადგა - 2025 წლის მაისში მოგვენიჭა ავტორიზაცია პროფესიული მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსების განხორციელებისთვის. 2025 წლის ოქტომბერში კი პირველი ნაკადი მივიღეთ, რომელიც დასრულდება 10 დეკემბერს. კურსზე ჩაირიცხა 15 ახალგაზრდა.

2026 წლის სამოქმედო გეგმაში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კურსებიდან რომელიმე განვახორციელოთ. ვგეგმავთ, რომ გამოვვითხოთ მოსწავლეები და შევარჩიოთ ყველაზე მოთხოვნადი მიმართულება. ვფიქრობთ, რომ დაფინანსების მოპოვების მიზნით ვითანამშრომლოთ მეწარმე სუბიექტებთან, რაც 2025 წელს ვერ მოხერხდა.

2026 წლისთვის აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით, დაგეგმილია სკოლის ერთ ფლიგელში პროფესიული განათლების ორი მიმართულებისთვის - ტექნოლოგიებისა და სტომატოლოგიისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. ხოლო მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, საშუალო განათლების ატესტთან ერთად მიიღონ პროფესიული განათლების დიპლომი. სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით უკვე გამოცხადებულია ტენდერი, რომლის შედეგები 2026 წლის იანვარში გახდება ცნობილი.

3. ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით, 2025 წელს აქტიურად დავიწყეთ სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აქტივობების დანერგვა. ხარისხის ჯგუფისა და დირექციის სისტემატური უკუკავშირის საფუძველზე, მასწავლებლები ყოველკვირეულად იკრიბებოდნენ საგნობრივ ჯგუფებში, ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, ახალ მეთოდებს ნერგავდნენ სასწავლო პროცესში და ახდენენ რეფლექსიას. ამ აქტივობას ძალიან კარგი შედეგები ჰქონდა სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების კუთხით. 2025 წელს გარედან შემოთავაზებულ ტრენინგებს სისტემატური ხასიათი არ ჰქონია, თუმცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობდნენ ილიას უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში, ხოლო ინგლისური ენის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობდნენ ამერიკის მშვიდობის კორპუსთან, გრიგოლო რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ TESOL პროგრამაში, გერმანული ენის მასწავლებლები კი - გოთეს ინსტიტუტთან. სკოლის დირექტორი ჩართულია ტეხასის უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამაში “ლიდერობა ჩარჩოებს გარეშე - Thinking outside the box leadership”. პროგრამა არის 3 თვიანი და ითვალისწინებს როგორც პროფესიულ ზრდას, ისე დისკუსიას უცხოელ ექსპერტებთან და კოლეგებთან.

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ასევე თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებისა და კვალიფიკაციის აღმწერი დოკუმენტი. თანამშრომელთა საქმიანობი შეფასება ხდება სწორედ აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით. მიმდინარე წელს სკოლაში ახალი კადრის მიღების საჭიროება არ ყოფილა. 2025 წლის სექტემბრიდან გვაყვს ორი სტაჟიორი- ქართული ენისა და ლიტ-ისა და ინგლისური ენის მიმართულებით. ისინი უნივერსიტეტში სწავლობენ მასწავლებლების მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე და პრაქტიკულ კურსს გადიან ჩვენს სკოლაში. აღნიშნული აქტივობა ხელს უწყობს როგორც სტაჟიორების, ისე ხელმძღვანელი მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას.

სკოლაში გადაწყვეტილებების მიღება ხდება გუნდურად, თვითმმართველო ერთეულებისა და საბჭოების ჩართულობით, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით, პროექტებით, მოსწავლეთა და მასწავლებლებთან გასაუბრებებით.

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიმართულებით, თითქმის ყველა აქტივობა განხორციელდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სისტემატურად იმართებოდა სამუშაო შეხვედრები, მოწმდებოდა თეორიულად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის საკითხი, მასწავლებლები ირებდნენ დროულ უკუკავშირს, რაც დადებითად მოქმედებდა მათ მოტივაციასა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. დაინერგა მასწავლებლების წახალისების მექანიზმი. 2025

წლის რამდენჯერმე სერთიფიკატები გადაეცემა იმ მასწავლებლებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ავტორიზაციის პროცესში, უძღვებოდნენ სხვადასხვა პროექტებსა და კლუბებს.

4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების კუთხით არაერთი ღონისძიება გატარდა. შემუშავდა და დაინერგა მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რამაც ხელი შეუწყო ორგანიზებული გარემოს შექმნას. 2025 წლის განმავლობაში სკოლას საჩუქრად გადაეცა პლანშეტები და კომპიუტერი გოეთეს ინსტიტუტისგან. სულაკაურისა და ინტელექტის გამომცემლობებისგან სკოლას საჩუქრად ერგო წიგნების თარო და წიგნადი ფონდი. სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პრინტერები, პროექტორები და ტელევიზორები. გრანტის ფარგლებში 20000 ლარის ინვენტარით აღიჭურვა საბუნესბიმეტყველო ლაბორატორია, 2000 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი შევიძინეთ სასწავლო წლის დასაწყისში.

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი sachkhere2.edu.ge და ფბ გვერდი, რომელზეც სისტემატურად ხდება ახალი ინფორმაციების გავრცელება.

ზაფხულში ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი, რომლის ხარჯიც მთლიანად დაიფარა სკოლის ბიუჯეტიდან. გაზაფხულზე კი სრულად რეაბილიტირდა გათბობის სისტემის გარე გაყვანილობა და შეიცვალა საქვები განათლების სამინისტროს დაფინანსებით.

სკოლამ საკუთარი ფინანსებით ვერ უზრუნველყო შშმ პირებისთვის სრულად ადაპტირებული გარემოს შექმნა. რამდენჯერმე მივმართეთ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს. სამწუხაროდ ვერ მივიღეთ დაფინანსება. 2025 წლის სექტემბრიდან სკოლის სარემონტო სამუშაოების ჩატარება დაევალა ადგილობრივ მერიას, რომელსაც გადაცემული აქვს ჩვენს სკოლაში ჩასატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა და ველოდებით დაფინანსებას. ნაწილობრივ შესაკეთებელია სახურავი, ღარები, სარინელები, შესაცვლელია რამდენიმე კარ-ფანჯარა. ამ ეტაპზე სატენდერო სამუშაოების პროექტი აქვს გამოცხადებული აზიის განვითარების ბანკს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სკოლის ერთი ფლიგელის სრული რეაბილიტაცია, რომელიც უნდა მომზადდეს პროფესიული სწავლებისთვის.

ფინანსური თვალსაზრისით, სკოლა გახდა უფრო მდგრადი. 2025 წლის იანვარსა და თებერვალში სკოლის კომუნალური ხარჯების დასაფარავად საჭირო იყო განათლების სამინისტროდან დამატებითი დაფინანსების მოთხოვნა. მიმდინარე ზამთრის სეზონზე კი ამის საჭიროება არ დამდგარა.

სკოლას გაიჯარებული აქვს ორი ფართი გახანგრძლივებული წრისთვისა და ბუფეტისთვის, რაც სკოლისთვის დამატებით ეკონომიკურ შემოსავალს წარმოადგენს. ფინანსური რესურსების მართვის მონიტორინგს პერიოდულად ახორციელებს სამეურვეო საბჭო და ასევე ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს.

5. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლამ შეიმუშავა და პრაქტიკაში ნერგავს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტს, რომელშიც გაწერილია თითოეული დასაქმებულისა და სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობანი უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შესაქმნელად. სკოლას აქვს უფლებამოსილ ორგანოსათან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე გვაქვს ლ. სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის შესახებ. სასწავლო წლის დასაწყისში და წელიწადში რამდენჯერმე მოსწავლეებსა და დასაქმებულებს ვაცნობთ უსაფრთხოების წესებს, წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ დარაჯები, მანდატურები, მორიგე მასწავლებლები, კლასების დამრიგებლები. სკოლას შემუშავებული აქვს და პრაქტიკაში ნერგავს შინაგანწესს, ასევე უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მექანიზმებს.

ფინანსების არქონის გამო, სკოლამ ვერ უზრუნველყო ყველა სართულზე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის დამონტაჟება. აღნიშნული სისტემა დამონტაჟებულია მხოლოდ სკოლის ნულ სართულზე, რომელზეც განთავსებულია სასადილო და ბიბლიოთეკა. ასევე აღნიშნული ფართი არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის. სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შემოწმების მიზნით, 2025 წლის დასაწყისში მივმართეთ სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს, რომელმაც განახორციელა სკოლას შემოწმება. სააგენტოს მიერ გაცემული დასკვნა უარყოფითია. ამიტომ, 2026 წელს სკოლას დაგეგმილი აქვს, როგორც

საკუთარი, ისე განათლების სამინისტროს დახმარებით უზრუნველყოს დასკვნაში გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულება.

უსაფრთხოების ნორმის დაცვის მიზნით ჩატარდა სკოლაში არსებული ვიდეო-კამერების სისტემის სრული რეაბილიტაცია, შეიცვალა შიდა და გარე კამერები, გაძლიერდა მეხსიერების სისტემა და ხარისხი. მანდატირების მიერ სისტემატურად მიმდინარეობს ვიდეო-კამერების მონიტორინგი, ხოლო დარაჯების მიერ აღირიცხება სკოლის ტერიტორიაზე შემომსვლელი ყველა ვიზიტორი.

სკოლაში მუდმივად ხდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლი და დაცვა. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს საშუალება აქვს მიმართოს სკოლის ექიმს. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით. სარეგისტრაციო ჟურნალში აღირიცხება ყოველდღიური მომსახურება და გაცემული მედიკამენტები. გარდა ამისა, მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვისათვის დილის 9 საათზე, მოსწავლეთა და თანამშრომელთა შემოსვლის შემდეგ, იკეტება სკოლის ცენტრალური კარი, რომელიც კონტროლდება პასუხისმგებელი პირის მიერ. უცხო პირები სკოლის ტერიტორიაზე არ დაიშვებიან, გარდა სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დამრიგებლები ყოველდღიურად აღრიცხავენ იმ მოსწავლეებს, რომლებიც დაგვიანებით ან საერთოდ არ ცხადდებიან სკოლაში და დღის ბოლოს სამსახურებივი ბარათის საშუალებით აცნობებენ დირექციას საპატიო და არასაპატიო გაცდენების შესახებ. არასაპატიო გაცდენის შემთხვევები დაუყოვნებლივ ეცნობება მანდატურს დირექციის მიერ.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, მანდატური, პედაგოგიური, სამეურვო, დისციპლინური საბჭოებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეები. ასევე რესურსცენტრის წარმომადგენელი. მრჩეველთა საბჭო იკრიბება წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს სკოლაში უსაფრთხო, დისციპლინერებული და ორგანიზებული გარემოს შექმნის მიმართულებით. 2025 წლის იანვარსა და სექტემბერში დაიგეგმა კონკრეტული აქტივობები, პროექტები, რომლებიც სრულად შესრულდა. აქტივობები მიმართული იყო ბუღინგის, კიბებუღინგის, ძალადობის, დისკრიმინაციის შესამცირებლად. პროექტებში ჩართული იყო ყველა კლასის მოსწავლე და დამრიგებელი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და ახალგაზრდული ცენტრი.

სკოლაში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი ბუფეტი, რომლის მონიტორინგს ახორციელებს როგორც სურსათის ეროვნული სააგენტო, ისე სკოლაში შექმნილი სპეციალური ჯგუფი. ბუფეტში იყიდება მხოლოდ განათლების მინისტრის ბრძანებით ნაბადართული პროდუქტი. მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის გამოყოფილია ერთი დიდი შესვენება 3 გაკვეთილის შემდეგ, რომელიც 20 წუთი გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ დასვენებისა და კვების საშუალება. დიდ დასვენებაზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უსაფრთხოებას, ამიტომ, დაწესებული მორიგეობა.

6. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის კუთხით, სკოლაში სისტემატურად ხორციელდება პროექტები, ღონისძიებები. 2025 წლის 13 ოქტომბერს ჩატარდა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები, არჩეული მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ სასკოლო აქტივობებში, წამოაყენეს ინიციატივები, ჩამოაყალიბეს კინო-კლუბი, დაგეგმეს ადამიანის უფლებათა კვირეული.

სკოლას დაგეგმილი ჰქონდა მშობელთა კმაყოფილების კვლევა, რაც ნაწილობრივ შესრულდა. თუმცა მშობლის დღეზე ზეპირი გამოკითხვები გვექონდა მშობლებთან, ასევე სემესტრი დასასრულს და ვგებულობდით მათ მოსაზრებებს კურიკულუმთან, სასწავლო პროცესთან და სასკოლო გარემოს გაუმჯობესების თაობაზე. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ მშობელთა საბჭოს ჩამოყალიბება. აღნიშნული მოითხოვს როგორც ადამიანურ, ისე ფინანსურ რესურს. ამიტომ, ეს აქტივობაც მომდევნო წლისთვის გადაიდება.

ღია კარის კვირეული დაიგეგმა 2025 წლის დეკემბერში, რომლის განმავლობაში ნებისმიერ მშობლებს შეეძლო ნებისმიერ გაკვეთილსა და კლუბის მუშაობაში დასწრება. ამ ეტაპზე არ იყო

მაღალი აქტიურობა, თუმცა მშობლების მოსაზრებები ნამდვილად მისაღები და გასათვალისწინებელი იყო.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სსსმ მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაციას. მშობლები არიან თითოეული მოსწავლისთვის შექმნილი ისგ-ს ჯგუფის წევრი. წელიწადში რამდენჯერმე ვხვდებით მშობლებს და ვაცნობთ მათი შვილების შედეგებს, ვიღებთ მათგან რჩევებს და ისინიც მასწავლებლებისგან იღებენ რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა იმუშაონ კონკრეტული უნარების განვითარებაზე. 2025 წლის სექტემბერში სკოლაში ჩაირიცხა აუტისტური სპექტრის მოსწავლე, რომლის მშობელთან ყოველდღიური კომუნიკაცია გვაქვს. მშობელი აქტიურად ეცნობა სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და ჩართულია დაგეგმვის პროცესშიც. გამომდინარე იქიდან, რომ პირველად გვყავს სკოლაში აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლე, პროცესში ჩავრთეთ ქცევის თერაპევტი, რომელიც სკოლაში ჩამოდის, გვაქძლევს რეკომენდაციებს, ასევე მასთან იმართება პერიოდულად ონლაინ შეხვედრებიც.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებას, რომელზეც მშობლები ეცნობიან სასკოლო გეგმას, უსაფრთხოების გეგმას, შინაგანაწესს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. შემდეგ კი მშობლებთან დამრიგებლებსა და მასწავლებლებს აქვთ ინდ. კომუნიკაცია. ყოველი ოთხშაბათი არის მშობლის დღე. მშობლებთან კომუნიკაციას ვამყარებთ სკოლის ვებ და ფბ გვერდებით, ასევე მესენჯერ ჯგუფებით, ტელეფონით, მეილით. სკოლას შემუშავებული აქვს როგორც მშობლებთან, ისე საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია, რომელიც აქტიურად ინერგება პრაქტიკაში.

2025 წლის ივლისში ახალი სამეურვეო საბჭო აირჩა. ახალი წევრები აქტიურად მონაწილეობენ შეხვედრებში, ვიღებთ მათგან რეკომენდაციებს.

სასწავლო პროცესის ხარისხზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს კათედრების, შიდა ხარისხისა და ვერიფიკაციის ჯგუფების მიზანმიმართული მუშაობა. კოლეგიალური ორგანოების ხელმძღვანელები და ზოგადად, სასკოლო საზოგადოება (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) აქტიურად არის ჩართული სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების პროცესში.

თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა უფლებების დაცვის მიზნით სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა და სამეურვეო საბჭორბი, ასევე დისციპლინური კომიტეტი. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, ასევე უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მექანიზმები.

7. ორგანიზაციული განითარების კუთხით, სკოლა თანამშრომლობსადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პროფესიულ კოლეჯებთან უნივერსიტეტებთან, მასწავლებელთა ასოციაციებთან, საელჩოებთან, უცხოურ ინსტიტუტებთან. მათთან ერთად და მათი დაფინანსებით სკოლა ახორციელებს პროექტებს, აქტივობებს. სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის დაფინანსებით 2025 წელს 2 საგრანტო პროექტი განხორციელდა, ხოლო სსიპ ახალგაზრდული სააგენტოს დაფინანსებით -ერთი, საზაფხულო ბანაკი. პროექტების ფარგლებში ჩვენი სკოლა თანამშრომლობს ადგილობრივ რესურსცენტრთან და საჩხერის მუნიციპალიტეტის სკოლებთან. გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანიის საელჩოს მხარდაჭერით სკოლაში მოეწყო „გერმანული ენის დღე“, რომლის ფარგლებში სკოლას გადაეცა სასწავლო რესურსები და ტექნიკა. სკოლა მონაწილეობს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში.

სკოლის ცნობადობის გაზრდის მიზნით, სკოლა ყველა სიახლეს და წარმატებას აქვეყნებს ვებ გვერდზე და სოც. ქსელში. ასევე ყოველწლიურად იბეჭდება სარეკლამო ბუკლეტები, ბრენდირებული მაისურები, კალმები და ჭიქები. აღნიშნული აქტივობები მეტად პოპულარულს ხდის სკოლის საქმიანობას, საზოგადოებას უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება სკოლის მიმართ, იზრდება მოსწავლეთა რაოდენობა და საზოგადოების ინტერესი სასკოლო ცხოვრების მიმართ.

8. მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით, 2025 წელიც ძალიან დატვირთული, გამორჩეული და წარმატებული იყო. სკოლამ შეიმუშავა და პრაქტიკაში დაწერა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის, მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები.

სწავლა-სწავლების პროცესში შექმნილია მოსწავლეთა მხარდამჭერი გარემო და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს ვთავაზობთ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ კონსულტაციებს. კარიერული წინსვლისა და პროფორიენტაციისთვის საბაზო-საშუალო საფეხურების კლასებში იგეგმება თემატური ექსკურსიები და გასვილითი აქტივობები მთელი წლის განმავლობაში.

სკოლაში ხორციელდება სასწავლო და საგრანტო პროექტები, არსებობს რამდენიმე არაფორმალური განათლების კლუბი, რომელთა პროგრამა სასკოლო გეგმის ნაწილს წარმოადგენს. 2025 წელს ორი მნიშვნელოვანი საგრანტო პროექტი განხორციელდა, რომელიც დაფინანსდა სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ: სტემ სასკოლო ჰაბი - 31 000 ლარით, კრიტიკული აზროვნების ჰაბი - 35 000 ლარით. სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს დაფინანსებით (15000 ლარი) 2025 წლის ზაფხულში სკოლაში ცატარდა ერთთვიანი სტემ საზაფხულო ბანაკი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები. ბანაკში მონაწილეობდა 100 მოსწავლე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. აღსანიშნავია, რომ პროექტებში ჩართული არიან საჩხერის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები. აღნიშნული აქტივობები პირდაპირ აქტივობებში ჩვენი სკოლის ხედვასთან, რომლის მიხედვით სკოლა უნდა გახდეს სტემ და ევროპული ენების ჰაბი. სკოლაში მოქმედებს ეკო-კლუბი, ჟურნალისტიკის, ინგლისური ენი ონლაინ და სტემ კლუბები, ასევე 2025 წელს აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით სკოლაში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ცენტრი. ცენტრში გაწევრიანებული არიან VII-XI კლასების მოსწავლეები. მათ უტარდებათ ტრენინგები, შეხვედრები, ვორკშოპები სამოქალაქო განათლების საკითხებზე, პროფორიენტაციაზე, ინტერპერსონალური უნარების განვითარებაზე და სხვა. მოსწავლეები ცენტრში ამუშავენ ისეთ პროექტებს, რომლებიც სკოლასა და საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული.

შემოგთავაზებთ წარმატებულ პროექტებსა და აქტივობებს კათედრების მიხედვით:

საბუნებისმეტყველო კათედრა:

- საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ ქიმიისა და ბიოოგის ოლიმპიადაში „ზურგჩანთა“.
- ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა ფიზიკაში 3 მოსწავლე, ბიოლოგიაში - 6, ქიმიაში - 5.
- ბიზნესიდების კონკურსში გაიმარჯვა სტემ პროექტმა „მავნე აირების აღმოჩენა“, რომელიც საბუნების მიერ დაფინანსდა 100 ლარით;
- ახალგაზრდა ნატურალისტთა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობდნენ VIII-IX-X კლასელები და დაიკავეს მე-4 ადგილი; პროექტში ჩართული იყვნენ მათემატიკის მასწავლებლებიც.
- „სტიმითის“ ოლიმპიადის ფინალში გადავიდა ერთი გუნდი „toosmarT“
- სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი ინგა მოსიაშვილი, როგორც მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულის წევრი, სულაკაურისა და ინტელექტის გამომცემობისგან დაჯილდოვდა;
- სულაკაურის გამომცემლობამ საუკეთესო ათეულში დაასახელ სკოლის ქიმიის მასწავლებელი ელისო აბრამიშვილი, საჩუქრად გადასცა პლანშეტი და ფასიანი საჩუქრები;
- ინგა მოსიაშვილისა და ელისო აბრამიშვილის პროექტმა კარსტული მღვიმეების კვლევის შესახებ გაიმარჯვა Salis-ის კონკურსში და 2026 წლის ზაფხულში ისინი გამეზავრებიან საერთაშორისო კონფერენციაზე ლიეტუვაში.
- STEM სასკოლო ბანაკი - დაფინანსებული სსიპ ახალგაზრდული სააგენტოს მიერ 15 000 ლარით
- STEM სასკოლო ჰაბი - დაფინანსებული სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ 30 000 ლარით
- კრიტიკული აზროვნების ჰაბი - დაფინანსებული სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ 35 000 ლარით
- 2025 წლის სექტემბერი - ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკი

- კოდის საათი - ფინალში მეორე ადგილი დაიკავა მე-5 კლასის მოსწავლემ, ცოტნე კაპანაძემ;
- IERN-ის საერთაშორისო პროექტები

უცხოური ენების კათედრა

- ინგლისური ენის ონლაინ კლუბი ამერიკელი მოხალისის ჩართულობით
- ორი საგრანტო პროექტის გამარჯვება Ciena Colutionის საერთაშორისო კონკურსზე: პროექტი „ვირუსები“ და „საჩხერის ინტერაქტიური რუკა“ დაჯილდოვდა 3000 აშშ დოლარით, ხოლო პროექტი „ბედნიერების ინდექსი“ – 500 აშშ დოლარით. პროექტის ხელ-ები არიან სკოლის ინგლისური ენის მენტორი მასწავლებელი მაია ტყემალაძე და უფროსი მასწავლებელი - მარინა შალამბერიძე.
- ინგლისური ენის კონფერენცია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში: მე-2 ადგილები დაიკავეს მე-9 კლასის მოსწავლეებმა: რეზი ჩიტეიშვილმა და გიორგი ჭილაძემ, მე-11 კლასის მოსწავლეებმა: თათია ფაქროსაძემ და მია გიორგაძემ; ხელ-ი მასწავლებელი - თამარ კიკნაველიძე და მარინა შალამბერიძე.
- გერმანულენოვანი საერთაშორისო პროექტი „სამართლიანობის საგზაო ნიშნები“, რომელიც განხორციელდა გერმანული ენის, მუსიკის, ქართული ენისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლების ჩართულობით. პროექტის ფარგლებში გადაღებულმა კლიპმა გაიმარჯვა. მონაწილე მოსწავლეები და მასწავლებლები მიწვეული იყვნენ გოეთეს ინსტიტუტში. სკოლას გადაეცა საჩუქრების და 100 ევრო ფულადი ჯილდო. პროექტის ხელ- მასწავლებლები: მადონა ჯინჭარაძე, სალომე ჩუბინიძე და ლიკა გომართელი.
- FLEX-ის პროგრამით 2025 წლის აგვისტოში აშშ-ში გაემგზავრა მე-11 კლასის მოსწავლე რუსა სისვაძე, 2025 წლის მაისში დაბრუნდა ამავე პროგრამის გამარჯვებული მარიამ მეტონიძე. ხოლო 2026 წლის შესარჩევ ფინალში გადასულია მე-10 კლასის მოსწავლე ნუცა ხურციძე.
- 2025 წლის 27 ოქტომბერს სკოლას სტუმრობდა გერმანიის საელჩო და გოეთეს ინსტიტუტი. სკოლაში გაიმართა გერმანული ენის დღე. სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვების აღსანიშნავად, სკოლას გადაეცა სასწავლო რესურსები, პლანშეტები, ლეპტოპი.
- ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა - გერმანული ენა - მე-2 ტურში გადავიდა 1 მოსწავლე.
- ინგლისური და ქართული ენის მასწავლებლების თანამშრომლობით 2025 წლის ივნისში ჩატრდა შექსპირის სადამო, რომელშიც მონაწილეობდნენ მე-9 კლასის მოსწავლეები. ხელ- მასწავლებლები: მაია ტყემალაძე, მაყვალა ჭიტაძე და ნანა ჭიხორია.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა:

- სკოლაში ჩამოყალიბდა „ახალგაზრდული ცენტრი“;
- 9-10 კლასების მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ ეროვნული არქივის კონკურსში „რა?სად?როდის?“ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის თემაზე ; ხელ- მასწავლებელი ირინე იაკობაშვილი.
- ცენტრის წევრებისთვის ქალთა საინფორმაციო ცენტრმა ჩაატარა ტრენინგი გენდერულ საკითხებზე „In her shoes“.

- მედიაწვნიერების კონკურსში წარდგენილი იყო 3 პროექტი, რომელთაგან „მედიამეიკერების“ გუნდის ვიდეო საუკეთესო ათეულში მოხვდა.
- 2025 წლის დეკემბერში გაიმართა ადამიანის უფლებების კვირეული, აღინიშნა შშმ პირების დღე. კვირეული ფარგლებში აქტიური მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სერთიფიკატებითა და სასაჩუქრე ვაუჩერებით. ხელ- მასწავლებელი მაკა ნებიერიძე.
- მთელი წლის განმავლობაში ყველა კლასში მიმდინარეობდა ანტიბულინგური კამპანია, როგორც სადამრიგებლო საათზე, ისე კლუბებში და სხვა სასკოლო აქტივობებში. შეიქმნა პოსტერები, ვიდეორგოლები, ბლოგები. გაიმართა ფილმის ჩვენებები და დისკუსიები.
- მე-9 კლასის მოსწავლე, ერეკლე გრძელიშვილი, სსიპ ახალგზარდობის სააგენტომ შეარჩია გაეროს მოდელირებაში მონაწილეობის მისაღებად.
- ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მე-2 ტურში გეოგრაფიაში გადავიდა 7 მოსწავლე.

ქართული ენისა და ლიტ-ის კათედრა:

- ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მე-2 ტურში გადავიდა 3 მოსწავლე;
- 14 აპრილს სკოლაში აღინიშნა ქართული ენის დღე. ასევე რაიონულ კონფერენციაში მონაწილეობდა 3 გუნდი თემებით: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ქართული ენის გაკვეთილზე; ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა სხვადასხვა საგნების შესწავლის დროს; წიგნიერების გაკვეთილები;
- მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებულ კონკურსებში. გარემოს დაცვის თემაზე გამართულ კონკურსში გაიმარჯვა მე-9 კლასის მოსწავლემ, საბა გელაშვილმა, პედაგოგი ნანა ნოზაძე.
- ყველა კლასში ტარდება წიგნიერების გაკვეთილები, რომლებზე შექმნილია კურიკულუმები. აღნიშნული გაკვეთილები ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნიერების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

სპორტის კათედრა:

- გოგონების გუნდი ფრენბურთზე გახდა მუნიციპალური ჩემპიონი;
- გეზრბენში ბიჭებმა დაიკავეს პირველი ადგილი, გოგონებმა - მე-3 ადგილი
- მხიარულ სტარტებსა და მინი ფეხბურთში - მუნიციპალური მე-3 ადგილი

2025 წელს სკოლა დაასრულა 59 მოსწავლემ. ოქროს მედალი დაიმსახურა 12-მა. ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა 46-მა. 100%-იანი გრანტით ჩაირიცხა - 2, 70%-2, 50%-11 აბიტურიენტი.

წარმატებებს ვუსურვებ სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლას 2026 წელს.

სკოლის დირექტორი,
ლენა გომართელი
09 დეკემბერი, 2025 წ.

ანგარიში

(ფინანსური საქმიანობის შესახებ)

წარმოგიდენტ სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N 2 საჯარო სკოლის 2024 წლის 1 დეკემბრიდან 2025 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით სკოლის ანგარიშს განხორციელებული ფინანსური საქმიანობის შესახებ.

2024 წლის ბოლოს დამტკიცდა 2025 წლის ბიუჯეტი, რომელიც დაგეგმილი იყო რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტის დაგეგმვისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა გასული წლების გამოცდილება. 2025 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული, როგორც ვაუჩერული დაფინანსებიდან, ისე ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები. 2025 წლის ბიუჯეტში, წინა წლიდან გადმოსული ნაშთი შეადგენდა 1 250 ლარს, ხოლო ბიუჯეტი ჯამურად განისაზღვრა 1 501200 ლარით. დაზუსტების მიზნით, სკოლის ბიუჯეტში წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ განხორციელდა ცვლილება.

სკოლის შემოსავლის ძირითად ნაწილს შეადგენდა მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, რამდენჯერმე შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებაში, რომელთა საფუძველზეც შეიცვალა და გაიზარდა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის კოეფიციენტი. ამასთან, 2024 წელთან შედარებით, 2025 წლის განმავლობაში მოსწავლეთა რაოდენობა სკოლაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, აღნიშნულის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში სკოლამ მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსებიდან მიიღო 202 741 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილების შესაბამისად, სსსმ მოსწავლეებისათვის გამოყოფილმა დამატებითმა დაფინანსებამ წლიურად შეადგინა 37 800 ლარი.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის N108/ნ ბრძანებით 2024 წლის 01 ივლისიდან შეიცვალა მასწავლებლის შრომის ანაზღაურების დაანგარიშების წესი, ასევე, შეიცვალა მასწავლებელთა ხელფასები. გარდა ამისა, 2025 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების მიხედვით ხელფასები არსებული ხელფასების 10%-ის ფარგლებში. კერძოდ, შეიცვალა ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის ანაზღაურებები აღნიშნულის გათვალისწინებით, 2024 წლის 1 დეკემბრიდან 2025 წლის 09 დეკემბრამდე პერიოდში, სახელფასო ხარჯი ჯამში შეადგენს 167477 ლარს.

რაც შეეხება დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლებს, არსებული ვითარების გათვალისწინებით, შემოსულმა თანხამ საანგარიშო პერიოდში ჯამურად შეადგინა 7240 ლარი. აღნიშნულმა შემოსავალმა სკოლას მისცა შესაძლებლობა, ჩაეტარებინა

გარკვეული კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები, ასევე შეძლო, სკოლისათვის შეეძინა საჭირო ინვენტარი და ავეჯი. სასწავლო წლის მიმდინარეობისას, სკოლას დასჭირდა სხვადასხვა საქონლისა თუ მომსახურებების შესყიდვაც, რაც ასახულ იქნა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

ამჟამად იჯარით არის გაცემული შემდეგი ფართები:

1. 112,56 კვ მ ფართი (ბუფეტის) ნებადართული საქმიანობების ნუსხით გათვალისწინებული მიზნობრიობით (წლიური შემოსავალი 5955 ლარი);
2. 39,33 კვ მ ფართი (გახანძლივებული ჯგუფი) ნებადართული საქმიანობების ნუსხით გათვალისწინებული მიზნობრიობით (წლიური შემოსავალი 1285 ლარი);

სკოლის შემოსავალმა ჯამში შეადგინა 1 564 846 ლარი, ხოლო ხარჯმა 1 564 828 ლარი. მათ შორის, სკოლის არასაბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა **8 055** ლარი, საიდანაც იჯარიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 7 240 ლარი, სხვა შემოსავალმა კი 815 ლარი.

ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მოხმარდა შრომის (ხელფასები, თანამდებობრივი სარგო, სქემით განსაზღვრული სტატუსის დანამატები) ანაზღაურებას. ასევე, სკოლის ბიუჯეტიდან დაიფარა კომუნალური გადასახადები. საბიუჯეტო წლის განმავლობაში, ასევე, შესყიდულ იქნა სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოფისე ნივთები (საოფისე ინვენტარი, ქაღალდი, საკანცელარიო ნივთები და სხვა ანალოგიური მასალები). ამასთან, სკოლას დასჭირდა გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღება კომუნალური ხარჯებისთვისა და გათბობის სისტემის რეაბილიტაციისთვის, რომელთა დაფარვაც მოხერხდა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან ჩარიცხული თანხიდან.

მიუხედავად წლის განმავლობაში არსებული გამოწვევებისა და სიძნელეებისა, სკოლის ბიუჯეტი იხარჯებოდა რაციონალურად და შეძლებისდაგვარად პასუხობდა სკოლის მოთხოვნებს. სკოლის თანხების ხარჯვა განხორციელდა წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში სკოლის ბიუჯეტის შემოსავლები და გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლის
ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში
9 დეკემბერი, 2025 წელი

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2024 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან.

მასში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები	პასუხისმგებელი პირი	შესრულების პერიოდი												შესრულების ინდიკატორები	რესურსები		
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII				
